

მეექვსე ყოველკვარტალური ანგარიში საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე

(1 სექტემბერი, 2015 – 31 ნოემბერი, 2015)

1. ყოველკვარტალური ანგარიშის მომზადება

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულების“ (დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №344/№01-30/ნ/№147 ერთობლივი ბრძანებით) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის ვალდებულებას, გამოაქვეყნოს ყოველკვარტალური ანგარიში საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე.

მეექვსე ყოველკვარტალური ანგარიში ფარავს პერიოდს 2015 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის ნოემბრის ბოლომდე.

2. სახელმწიფო კომისიის საქმიანობა

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-მე-7 მუხლები და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №344/№01-30/ნ/№147 ერთობლივი ბრძანება (შემდგომში - ერთობლივი ბრძანება) ითვალისწინებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის (შემდგომში - სახელმწიფო კომისია) შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესს.

სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. აგრეთვე, ერთობლივი ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული კომისიის წევრთა გარდა, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებს, საჭიროებიდან გამომდინარე და კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, ესწრებიან შესაბამისი სპეციალისტები.

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომისია იკრიბება სისტემატურად, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო კომისიის სამდივნოს ორგანიზებით, სახელმწიფო კომისიის მეთექვსმეტე შეხვედრა გაიმართა 2015 წლის 14 სექტემბერს; მეჩვიდმეტე შეხვედრა - 2015 წლის 15 ოქტომბერს; მეთვრამეტე შეხვედრა - 2015 წლის 13 ნოემბერს. გაფორმებულია შესაბამისი ოქმები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაციის, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ტენდენციებისა და მთავრობისთვის წარსადგენი წინადადებების შესახებ დისკუსიის გამართვა და შესაბამის გამოწვევებზე რეაგირება.

3. სახელმწიფო კომისიის შეხვედრებზე დაფიქსირებული ძირითადი მიმართულებები:

- **ქვეყანაში არსებული ვითარება კანონის მიღების შემდეგ სამართალდაცვითი კუთხით**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ე.წ. „ბიონარკოტიკის“) უკანონო ბრუნვის ფაქტზე აღძრული იქნა სისხლის სამართლის 39 საქმე; ბრალდებული იქნა 39 პირი.

- **ქვეყანაში არსებული ვითარება ჯანდაცვის კუთხით**

ჯანდაცვის სფეროში ფაქტობრივად აღარ არსებობს მიმართვიანობა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ჩივილებით.

- ქვეყანაში არსებული ვითარება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კუთხით

ფაქტობრივად საბაჟოზე არ ფიქსირდება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო შემოტანა